სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

27 ნოემბერი, 2025 წ.

# აკადემიური საბჭოს
# დადგენილება № 06-01/154

**იესპერ მოლერისათვის**
**ბსუ-ს საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ელი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის მე–4 პუნქტის, წესდების 62–ე მუხლის, ,,შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების დებულების“ (აკადემიური საბჭოს ოქმი N18, 17.04.2007 წ.), ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმის ამონაწერისა (№23-05/13, 21.11.2025) და ამავე ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის (MES 2 25 0001658316, 21.11.2025) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

## დაადგინა:

1. საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელს, ეკონომიკის მაგისტრ **იესპერ მოლერს მიენიჭოს ბსუ-ს საპატიო დოქტორის წოდება.**
2. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
3. დადგენილება დაეგზავნოს იესპერ მოლერს, ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტს, სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს, რექტორის აპარატს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს.
4. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი **ტიტე არუშიძე**